



ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №205

05 დეკემბერი 2018 წელი

ქალაქი რუსთავი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-19 მუხლის „ა“ ნაწილის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ი“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669-ე დადგენილების მე-2 მუხლის „დ“, „ე“ და „თ“ ქვეპუნქტების და „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქონების სააუქციონოდ მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 03 იანვრის №1 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის 2018 წლის 18 ოქტომბრის №12836-02 რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა, დანართი №1-ის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ რუსთავის საქალაქო სასამართლოში (რუსთავი, ბოსტან-ქალაქის ქუჩა №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ლევანი ონიანი

საკრებულოს თავმჯდომარე

დანართი №1

№	საპროვატიზაციო ობიექტის დასახელება / დანიშნულება	ფუნქციური ზონები	საკადასტრო კოდი	მისამართი	მიწის ნაკვეთის ფართობი კვ/მ
1	არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;	სზ-5 (საპროექტო)	02.03.04.690	ქალაქი რუსთავი, ქუჩა ლომლოური, მიმდებარე ტერიტორია	1000